

DŁUGOŁĘCKI v. POLAND

დღუგოლექკი პოლონეთის წინააღმდეგ

საჩივარი N23806/03

24/02/2009

(რელევანტური ამონარიდები)

ფაქტები

მოძივანი, ჯ. დღუგოლექკი, პოლონეთის მოქალაქეა რომელიც დაიბადა 1935 წელს და ცხოვრობს ქ. გდანსკში. იგი ჟურნალისტია და შესაბამის დროს იყო თავისუფალი გამომცემლობის *Kolbudzkie ABC, Periodical, Private, Independent* (“*Periodyk, Prywatny, Niezależny*”) რედაქტორი.

კონვენციის მე-10 მუხლზე დაყრდნობით, ბ-ნი დღუგოლექკი დავობდა 2002 წელს პოლონეთის სასამართლოების მიერ მის დასაწესებზე, რომ გადაეხადა საქველმოქმედო ორგანიზაციისთვის და აენაზღაურებინა სამართალწარმოების ხარჯები, რომელიც მიმდინარეობდა ადგილობრივი პოლიტიკოსის შეურაცხყოფისათვის.

სასამართლოს შეფასება

(ა) ზოგადი პრინციპები

34. სტრასბურგის სასამართლო კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ გამოხატვის თავისუფლება, როგორც ამას უზრუნველყოფს მე-10 მუხლის 1-ელი პუნქტი, წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ არსებით საფუძველს და მისი პროგრესისა და თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციის ერთ-ერთ ძირითად პირობას. მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, იგი გამოიყენება არა მხოლოდ იმ „ინფორმაციის“ ან „იდეების“ მიმართ, რომლებიც დადებითად არის მიღებული ან უვნებლად ან გულგრილად ითვლება, არამედ იმ ინფორმაციისა და „იდეების“ მიმართაც, რომლებიც შეურაცხმყოფელი, შოკისმომგვრელი ან შემამფოთებელია. ასეთია პლურალიზმის, ტოლერანტობისა და ფართო აზროვნების მოთხოვნები, რომელთა გარეშეც არ არსებობს „დემოკრატიული საზოგადოება“ (იხ. სხვებთან ერთად, *Oberschlick v. Austria* (no. 1), judgment of 23 May 1991, Series A no. 204, § 57, და *Nilsen and Johnsen v. Norway* [GC], no. 23118/93, § 43, ECHR 1999-VIII).

35. კრიტიკული კომენტარის საზღვრები უფრო ფართოა, თუ საქმე საჯარო პირს ეხება, რადგან ის გარდაუვლად და შეგნებულად ექცევა საზოგადოების ყურადღების ქვეშ და

შესაბამისად, განსაკუთრებით მაღალი ხარისხის ტოლერანტობა უნდა გამოავლინოს (იხ. *Lingens v. Austria*, judgment of 8 July 1986, Series A no. 103, p. 26, § 42; *Incal v. Turkey*, judgment of 9 June 1998, *Reports* 1998-IV, p. 1567, § 54; და *Schorsch and News Verlagsgesellschaft v. Austria*, no. 39394/98, § 30, ECHR 2003-XI).

36. მიუხედავად იმისა, რომ გამოხატვის თავისუფლებას შეიძლება ჰქონდეს გამონაკლისები, ისინი „უნდა განიმარტოს ვიწროდ“ და „ნებისმიერი შეზღუდვის აუცილებლობა დამაჯერებლად უნდა იყოს დადგენილი“ (იხ. *Observer and Guardian v. the United Kingdom*, 26 November 1991, § 59, Series A no. 216).

37. კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პოლიტიკური გამოსვლის ან საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე დებატების შეზღუდვის მცირე შესაძლებლობა არსებობს (იხ. *Sürek v. Turkey (no. 1)* [GC], no. 26682/95, § 61, ECHR 1999-IV). საჯარო დებატების კონტექსტში, პრესის, როგორც საზოგადოებრივი მაკონტროლებლის როლი, საშუალებას აძლევს ჟურნალისტებს მიმართონ გარკვეული ხარისხის გაზვიადებას, პროვოკაციას ან უხეშობას. პრესის თავისუფლება საზოგადოებას აძლევს ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას აღმოაჩინოს და ჩამოაყალიბოს აზრი მათი პოლიტიკური ლიდერების იდეებისა და დამოკიდებულებების შესახებ (იხ. *Castells v. Spain*, judgment of 23 April 1992, Series A no. 236, § 43). მართალია, მიუხედავად იმისა, რომ პირი, რომელიც მონაწილეობს საჯარო დებატებში ზოგადი მნიშვნელობის საკითხზე, ვალდებულია არ გადააჭარბოს გარკვეულ საზღვრებს, კერძოდ, სხვათა რეპუტაციისა და უფლებების პატივისცემასთან მიმართებით, თუმცა მას უფლება აქვს მიმართოს გარკვეულწილად გაზვიადებას ან თუნდაც პროვოკაციას, ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გააკეთოს გარკვეულწილად გადაჭარბებული განცხადებები (იხ. *Kuliś v. Poland*, no. 15601/02, § 47, 18 March 2008).

38. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტორია ფაქტების კონსტატაციისა და შეფასებით მსჯელობას შორის განსხვავება. მიუხედავად იმისა, რომ ფაქტების არსებობის დამტკიცება შესაძლებელია, შეფასებითი მსჯელობის ჭეშმარიტება დამტკიცებას არ ექვემდებარება. შეფასებითი მსჯელობის ჭეშმარიტების დამტკიცების მოთხოვნა შეუძლებელია და არღვევს თავად აზრის თავისუფლებას, რაც მე-10 მუხლით უზრუნველყოფილი უფლების ფუნდამენტურ ნაწილს წარმოადგენს. თუმცა, მაშინაც კი, როდესაც განცხადება შეფასებით მსჯელობას წარმოადგენს, ჩარევის პროპორციულობა შეიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე, არსებობს თუ არა სადავო განცხადების საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი, რადგან შეფასებითი მსჯელობაც კი შეიძლება გადაჭარბებული იყოს, როდესაც არ არსებობს მისი დასადასტურებელი ფაქტობრივი საფუძველი (იხ. *Turhan v. Turkey*, no. 48176/99, § 24, 19 May 2005, და *Jerusalem v. Austria*, no. 26958/95, § 43, ECHR 2001-II).

39. სტრასბურგის სასამართლოს ამოცანა საზედამხედველო ფუნქციის განხორციელებისას არ არის ეროვნული ხელისუფლების ადგილის დაკავება, არამედ მე-10 მუხლის შესაბამისად მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გადახედვა მათი უფლებამოსილების შესაბამისად. ამ შემთხვევაში, სასამართლომ უნდა განიხილოს სადავო „ჩარევა“ მთლიანი საქმის გათვალისწინებით და დაადგინოს, არის თუ არა ეროვნული ხელისუფლების მიერ მის გასამართლებლად მოყვანილი მიზეზები „შესაბამისი და საკმარისი“. ამით სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ გამოიყენა სტანდარტები, რომლებიც შეესაბამებოდა მე-10 მუხლში განსახიერებულ პრინციპებს და, უფრო მეტიც, რომ მათ თავიანთი გადაწყვეტილებები შესაბამისი ფაქტების მისაღებ შეფასებას დააფუძნეს (იხ. *Vogt v. Germany*, judgment of 26 September 1995, Series A no. 323, pp. 25-26, § 52, და *Jerusalem v. Austria*, ციტირებულიუ ზემოთ, § 33 and *Feldek v. Slovakia*, no. 29032/95, §§ 77 and 78, ECHR 2001-VIII.).

40. თავისუფალი არჩევნები და გამოხატვის თავისუფლება, განსაკუთრებით პოლიტიკური დებატების თავისუფლება, ერთად ქმნიან ნებისმიერი დემოკრატიული სისტემის საფუძველს (იხ. *Mathieu-Mohin and Clerfayt v. Belgium*, judgment of 2 March 1987, Series A no. 113, p. 22, § 47). ეს ორი უფლება ურთიერთდაკავშირებულია და ერთმანეთის გასაძლიერებლად მოქმედებს. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არჩევნების წინა პერიოდში, რომ ყველა სახის მოსაზრებები და ინფორმაცია თავისუფლად გავრცელდეს (იხ., *Bowman v. the United Kingdom*, judgment of 19 February 1998, *Reports* 1998-I, § 42). ეს პრინციპი თანაბრად ვრცელდება როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ არჩევნებზე (იხ. *Kwicień v. Poland*, no. 51744/99, § 48, ECHR 2007-...).

(ბ) ზოგადი პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

41. სასამართლო აღნიშნავს, რომ უდავოა, რომ მომჩივნების მიერ გასაჩივრებული ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებები წარმოადგენდა „ჩარევას“ მისი გამოხატვის თავისუფლების უფლებით სარგებლობაში. სასამართლო ასევე ადგენს, და მხარეები ამ საკითხზე შეთანხმდნენ, რომ სადავო ჩარევა კანონით იყო გათვალისწინებული, კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 216-ე მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტებით და მიზნად ისახავდა კონვენციის 10-ე მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, კერძოდ, „სხვათა რეპუტაციის ან უფლებების“ დაცვას. ამგვარად, სადავო საკითხი მხოლოდ ისაა, იყო თუ არა ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ ასეთი მიზნების მისაღწევად.

42. მომჩივანმა, რომელიც ჟურნალისტი იყო, მუნიციპალურ არჩევნებამდე ორი დღით ადრე გამოაქვეყნა სტატია ადგილობრივ პოლიტიკოსთან, ამ არჩევნებში მონაწილე კანდიდატთან და კომუნის ყოფილ მერთან დაკავშირებით. ეროვნულმა

სასამართლოებმა მომჩივნის წინააღმდეგ ამ პოლიტიკოსის მიერ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე მიიჩნიეს, რომ განცხადება, რომ “მერის თანამდებობაზე მან თავისი არაკომპეტენტურობა წლების წინ დაადასტურა, თუმცა ეს მარცხი მისთვის შემაფერხებელი არ აღმოჩნდა - ის კვლავაც იწევს მაღლა, ამჯერად იმ დონეზე, სადაც საჯაროდ გამოთქმული შეურაცხყოფა უკვე სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს იძენს”. ამავდროულად, ეროვნულმა სასამართლომ მომჩივანი ცილისწამებაში გაამართლა, კერძოდ, იმ განცხადებებთან დაკავშირებით, რომლებშიც მომჩივანი ამტკიცებდა, რომ ბატონი ა.ვ., როგორც მერი, დამნაშავე იყო წყლის წყაროს კერძო კომპანიისთვის მიყიდვისას არასწორედ წარმართულ პროცესებში. ეროვნულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს ბრალდება საკმარისად დადასტურებული იყო ფაქტებით, რათა მოქცეულიყო დასაშვები კრიტიკისა და პრესის თავისუფლების ფარგლებში.

სტრასბურგის სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ სადავო სტატია „პიტერის პრინციპი“ ეფუძნებოდა ლორენს ჯ. პიტერის 1968 წლის წიგნში შემუშავებულ თეორიას, რომელიც განმარტავს იერარქიოლოგიის პრინციპს, კერძოდ, „იერარქიაში ყველა ინდივიდი მიდრეკილია მიაღწიოს თავისი არაკომპეტენტურობის დონეს“.

და ბოლოს, სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანმა თავისი აზრი გამოთქვა რვაგვერდიან უფასო ბიულეტენში, რომლის რედაქტორიც თავად იყო და თავადვე გაავრცელა და განკუთვნილი იყო კოლბუდის კომუნის მაცხოვრებლებისთვის. ამგვარად, მისი მასშტაბი და გავლენა ძალიან შეზღუდული იყო.

44. რაც შეეხება ეროვნული სასამართლოების მიერ მოყვანილ საფუძვლებს ევროპული სასამართლო პირველ რიგში აღნიშნავს, რომ მომჩივნის ცილისწამების ბრალდებისგან გამართლებისას შიდა სასამართლომ მიიჩნია, რომ მისი განცხადებები პოლიტიკური დებატების კონტექსტში პოლიტიკოსის მისაღები კრიტიკის ფარგლებში იყო. მაგალითად, ეროვნულმა სასამართლოებმა აღიარეს, რომ მის ბრალდებებს, რომ პოლიტიკოსი, როგორც კომუნის მერი, არაკომპეტენტური იყო, საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი ჰქონდა. თუმცა, როდესაც დადგინდა, რომ მომჩივანმა შეურაცხყოფა მიაყენა პოლიტიკოსს იმ განცხადებით, რომ ის არაკომპეტენტურობის ახალ დონეზე აღიოდა, ეროვნულმა სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს, რომ სადავო განცხადება წარმოადგენდა შეფასებით მსჯელობას საზოგადოებრივი ინტერესის საკითხთან დაკავშირებით. ეროვნულმა სასამართლომ ვიწროდ განმარტა ის, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს მისაღებ კრიტიკად, გამორიცხა რა ყველა ის განცხადება, რომელიც გამოხატავდა „ზიზღსა და უპატივცემულობას“. ამ დროს ეროვნულმა სასამართლომ არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ სადავო განცხადებები გაკეთდა ცხარე პოლიტიკური დებატების კონტექსტში. გარდა ამისა, მან არ გაითვალისწინა, რომ მომჩივანი იყენებდა თავის უფლებას, გაეზიარებინა ინფორმაცია

და იდეები პოლიტიკურ და საზოგადოებრივი ინტერესის სხვა საკითხებზე და ამით შესაძლოა მან გააზვიადა ისინი. სადავო განცხადებები შემოიფარგლებოდა ბატონი ა.ვ.-ს პროფესიული ცხოვრების სფეროს შეფასებით და გმოზდა მის, როგორც პოლიტიკოსის, სავარაუდო უუნარობას. სასამართლო აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური შეურაცხყოფა ხშირად პირად სფეროზეც ვრცელდება, ამ შემთხვევაში მომჩივნის კრიტიკული კომენტარი არ ეხებოდა ამ პოლიტიკოსის პირად ან ოჯახურ ცხოვრებას (ამის საპირისპიროდ იხ., *Lopes Gomes da Silva v. Portugal*, no. 37698/97, § 34, ECHR 2000-X, და *Kuliś v. Poland*, no. 15601/02, § 52, 18 March 2008).

შესაბამისად, სასამართლო ასკვნის, რომ შიდასახელმწიფოებრივმა ორგანოებმა არ გაითვალისწინეს თავისუფალი პოლიტიკური დებატების გადამწყვეტი მნიშვნელობა დემოკრატიულ საზოგადოებაში, განსაკუთრებით თავისუფალი არჩევნების კონტექსტში (იხ. *Malisiewicz-Gąsior v. Poland*, no. 43797/98, § 67, 6 April 2006). განცხადებების ხასიათისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ისინი ადგილობრივი არჩევნების კონტექსტში გაკეთდა, სასამართლო მიიჩნევს, რომ შიდა სასამართლოების მიერ წარმოდგენილი მიზეზები არ შეიძლება ჩაითვალოს შესაბამის და საკმარისად სადავო ჩარევის გასამართლებლად.

45. და ბოლოს, სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ დაკისრებული სასჯელის ბუნება და სიმძიმე არის ფაქტორები, რომლებიც გასათვალისწინებელია ჩარევის პროპორციულობის შეფასებისას (იხ. მაგ., *Sürek v. Turkey (no. 1)* [GC], § 64, და *Chauvy and Others v. France*, no. 64915/01, § 78, ECHR 2004-VI). ამასთან დაკავშირებით, იგი აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მომჩივნისთვის დაკისრებული სასჯელი შედარებით მსუბუქი იყო (50 ზლოტის გადახდა საქველმოქმედო ორგანიზაციისთვის და სამართალწარმოების ხარჯების ანაზღაურება, რაც ჯამში 518 ზლოტს შეადგენდა - დაახლოებით 120 ევროს (EUR) შესაბამის დროს) და მიუხედავად იმისა, რომ მის წინააღმდეგ სამართალწარმოება პირობითად შეწყდა, ეროვნული სასამართლოები მაინც მივიდნენ დასკვნამდე, რომ მას ჩადენილი ჰქონდა დანაშაული - კონკრეტულად კი, შეურაცხყოფის მიყენება, რაც კლასიფიცირებული იქნა როგორც სისხლის სამართლის სამართალდარღვევა”. შედეგად, მომჩივანს ჰქონდა ნასამართლეობა. გარდა ამისა, სასამართლოებს კვლავ ჰქონდათ უფლება, განეხილებინათ სამართალწარმოება მისი პირობითი მსჯავრის ვადის ნებისმიერ დროს, თუ კანონით განსაზღვრული რომელიმე გარემოება ამას ამართლებდა (იხ. *Dąbrowski v. Poland*, no. 18235/02, § 36, 19 December 2006, და *Weigt v Poland* (dec.), 74232/01, 11 October 2005).

46. გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ სასჯელმა მომჩივანს საკუთარი აზრის გამოხატვაში ხელი არ შეუშალა, ის მაინც წარმოადგენდა ერთგვარ ცენზურას, რაც, სავარაუდოდ, მომავალში მსგავსი კრიტიკის გაკეთებისგან დააბრკოლებდა. ასეთი მსჯავრდება, სავარაუდოდ, ჟურნალისტებს საზოგადოების ცხოვრებაზე მოქმედი

საკითხების საჯარო განხილვაში წვლილის შეტანისგან შეაკავებს. ამავე მიზეზით, მას შეუძლია ხელი შეუშალოს პრესას ინფორმაციის მიწოდებისა და საზოგადოებრივი ზედამხედველობის ფუნქციის შესრულებაში (იხ., *mutatis mutandis*, Barthold v. Germany, judgment of 25 March 1985, Series A no. 90, p. 26, § 58, და Lingens v. Austria, ციტირებული ზემოთ, p. 27, § 44). მართლაც, მომჩივანმა განაცხადა, რომ მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამო, მან ჟურნალისტური საქმიანობა მიატოვა.

47. და ბოლოს, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ საქმეში სისხლის სამართლის საქმისწარმოება სათავეს იღებს თავად პოლიტიკოსის მიერ წარდგენილი ბრალდების საჩივრიდან და არა პროკურორის მიერ (შედარებისთვის იხ., *Raichinov v. Bulgaria*, no. 47579/99, § 50, 20 April 2006) და რომ ამან გამოიწვია ამ სამართალწარმოების პირობითი შეწყვეტა. ხელშემკვრელი სახელმწიფოებისთვის დატოვებული თავისუფალი შეფასების ფარგლების გათვალისწინებით, ცილისწამების საპასუხოდ სისხლის სამართლის ღონისძიება, როგორც ასეთი, არ შეიძლება ჩაითვალოს დასახული მიზნის არაპროპორციულად (იხ. *Lindon, Otchakovsky-Laurens and July v. France* [GC], nos. 21279/02 and 36448/02, § 59, ECHR 2007-..., *Radio France and Others v. France*, no. 53984/00, § 40, ECHR 2004-II და *Rumyana Ivanova v. Bulgaria*, no. 36207/03, § 68, 14 February 2008). მიუხედავად ამისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ როდესაც განცხადება რომელიც საჯარო დებატების კონტექსტში კეთდება და რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ცილისმწამებლურად თუ შეურაცხყოფლად არის კვალიფიცირებული, მომჩივანს აყენებს თავისუფლების აღკვეთის რისკის ქვეშ თუკი მის წინააღმდეგ აღძრული იქნება სისხლის სამართლის საქმისწარმოება. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო იხსენებს, რომ პრესასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის თავისუფლების აღკვეთის დაკისრება თავსებადი იქნება ჟურნალისტების გამოხატვის თავისუფლებასთან, როგორც ეს გარანტირებულია მე-10 მუხლით, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სხვა ფუნდამენტური უფლებები ირღვევა, მაგალითად, სიძულვილის ენის ან ძალადობისკენ წაქეზების შემთხვევაში (იხ. *Cumpăna and Mazăre v. Romania* [GC], no. 33348/96, § 115, ECHR 2004-XI). სასამართლოსთვის მსგავსი მოსაზრებები უნდა გავრცელდეს საჯარო დებატებთან დაკავშირებით გამოთქმულ შეურაცხყოფაზე. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ თავის 1577 (2007) რეზოლუციაში მოუწოდა იმ წევრ სახელმწიფოებს, რომლებიც კვლავ ითვალისწინებენ ცილისწამებისთვის თავისუფლების აღკვეთას, მაშინაც კი, თუ ისინი რეალურად არ არის დაკისრებული, დაუყოვნებლივ გააუქმონ ისინი (*Resolution Towards decriminalisation of defamation* adopted on 4 October 2007).

48. ზემოაღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით, მომჩივნის საქმეში ჩარევა არაპროპორციული იყო დასახულ ლეგიტიმურ მიზანთან, კერძოდ, თავისუფალი არჩევნების კონტექსტში პრესის თავისუფლების უზრუნველყოფისა და შენარჩუნების დემოკრატიული საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას.